№ 207 სექტემბერი 25, ხუთშაბათი 1886 სექტემბერი 25 ხუთშაბათი № 207

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 24 სექტემბერი

ინგლისის ქვედა პალატაში დიდი ლაპარაკი გაიმართა თურმე ამას წინად ბოლგარიის საქმეთა გამო. ინგლისის გაზეთებში 11 სექტემბერიდამ უკვე დაბეჭდილია შინაარსი იმა ლაპარაკისა და ბაასისა. ეს ლაპარაკი მეტად შესანიშნავია იმით, რომ აქ ორმა დიდმა დასმა—კონსერვატორებისამ და ლიბერალებისამ თვისნი დედა-აზრნი გამოსთქვეს საგარეო საქმეთა გამო საზოგადოდ და ბოლგარიისა გამო ცალკედ. ამ ლაპარაკიდამ აშკარად აღმოჩნდა, რომ საგარეო საქმეებში ორი ერთმანეთის საპირისპირო მდინარეებაა აზრისა ინგლისში, ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული და ერთმანეთში მოუთავსებელი. ლაპარაკის საგანი პალატის წევრს კრიმერს ასე გამოურკვევია: ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეხლანდელი მდგომარეობა საქმისა მეტის მეტად საფიქრებელი და სამძიმო არ იყოსო და დღესა თუ ხვალე მთელს ევროპას საომრად არ გაუხადოს საქმეო. ხმები დადის ვითომც რუსეთი სტამბოლისაკენ აპირობს ხელის გაწვდენასა და ვითომ ინგლისის მთავრობაც ამას დაჰყოლია, რადგანაც რუსეთი დაჰპირებია, თუ შენ ეგვიპტეს დაიჭერ, მე ხმას აღარ ამოვიღებო. სასურველია, ყოველი ესე უარყოფილი იყოს მთავრობის მიერ ოფიციალურადაო. ეგ ხმები ტყუილ-უბრალოდ აბოროტებს ჩვენზედ საფრანგეთსა და განსაცდელში აგდებს მშვიდობიანობას ინგლისსა და საფრანგეთს შორისო.

ამის პასუხად მინისტრს ლორდ რანდოლფ ჩერჩილს უთქვამს,— მართალია ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ საქმე მეტად მძიმეა და საფიქრებელი და ყოველს წუთში შესაძლოა მეტის მეტად გამწვავდესო. ამასთანავე ლორდ ჩერჩილს გამოუცხადებია, რომ სხვა საგნებზედ პასუხს ვერ მოგცემთ, რადგანაც საქმე იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ყველაფრის გამომჟღავნება მოსარიდებელია და საფრთხილოაო. ამაზედ სიტყვა შეუბრუნებიათ დეპუტატებს ლაუსონს და ლაბუშერსა.

ლაუსონს უთქვამს, — ჩვენ ვითხოვთ მთავრობისაგან შეგვატყობინოს მარტო ზოგადი პასუხი. აღმოსავლეთის საქმე აი რაში მდგომარეობსო: საჭიროა თუ არა, ვხარჯოთ ფული, გამოვიმეტოთ ხალხი იმისათვის, რომ ოსმალები სტამბოლში ვამყოფოთ და რუსეთს იქ წასვლაზედ ხელი შევუშალოთ? ეხლა ყველამ იცის, რომ დღეს რუსეთი ისე მიუახლოვდა სტამბოლს, როგორც არას დროს არ მიახლოებია ჩვენს ხსოვნაში. ამ ამბავს ჩვენი ერი არამც თუ უფრთხის, არამც თუ შიშით უყურებს, არამედ სრულის გულ-დამშვიდებით უცქერის. მარტო ამას ვითხოვ გვითხრას ლორდმა ჩერჩილმა, რომ მისი პოლიტიკა საქმეში არ-გარევის პოლიტიკაა. ლორდი ჩერჩილი დღეს წინ უძღვის პალატასა ნიჭიერად და ყოველთა სასიამოვნოდ. გადამდგარნი ლიბერალებიც მხარს აძლევენ. ლორდს ჩერჩილს ზურგთ უკანა ჰყავს 319 ჯენტელმენი, რომელნიც ყოველ საქმეში მას მიჰყვებიან. ერთის სიტყვით, დღეს იგი იმ დიქტატორს ისპანიისასა ჰგავს, რომელსაც როცა კვდებოდა, სთხოვეს შენს მტრებს შეუნდეო, და იმან უპასუხა: „აგი შევუნდეო, რაც იყვნენ, სულ თოფით დავახვრეტინეო“. ლორდმა ჩერჩილმაც ასე ჰქმნა, ვინც წინააღმდეგი ჰყავნდა ამ ქვედა-პალატაში, სულ ზედა-პალატაში გაისტუმრა. ეხლა ჩვენი კეთილშობილი ლორდი ჩერჩილი რომ წამოსდგეს და სთქვას: ჩემთვის სულ ერთია, ოსმალო იქნება სტამბოლში, თუ რუსეთიო, — იგი დიდს სიკეთეს შესძენდა აღმოსავლეთის საქმეს, დიდს სამსახურს გაუწევდა ევროპის მშვიდობიანობას და მთელის ქვეყნისასაც. იგი ამით შეიქმნებოდა ევროპისათვის მშვიდობის მოქმედად, რადიკალებსაც გაისტუმრებდა შინ კარგის გუნებითა და თვითონაც სახელს გაიკეთებდა სამუდამოდ, როგორც მინისტრი, რომელიც ერთხელ და უკანასკნელად ჭკუას დაეკითხა და ისე მოიქცა საგარეო საქმეში.

ამის შემდეგ ილაპარაკა რადიკალმა ლაბუშერმა. ამის სიტყვას კი მთლად მოვიყვანთ, როგორც თქმულა, იმიტომ-რომ ლაბუშერმა უფრო მეტის დაწვრილებით გამოარკვია ლიბერალების საგარეო პოლიტიკა და მეტი არ იქნება ჩვენც დაწვრილებით ვიცოდეთ.

ხოლო ლაბუშერის სიტყვას ხვალ მოვიყვანთ, რადგანაც საკმაოდ გძელია და დიდს ადგილს დაიჭერდა დღეს.

ახალი ამბავი

⁂ 6 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გარჩევა გაზ. „დროების“ რედაქტორად ნამყოფის თ. ივ. მაჩაბლისა და ოზურგეთის მაზრის უფროსისა ბ-ნის ვირუბოვისა. ბ-ნი ვირუბოვი სჩივის, რომ გაზეთში ჩემზედ ისეთი ამბები იქმნა დაბეჭდილი, რომელიც შეურაცხ-ჰყოფს ჩემს ღირსებასაო; გაზეთმა ავად მოიხსენია ჩემი სახელიო. ამ გვარს საჩივარს დიფამაციას ეძახიან და უფრო მწერლობასა და გაზეთებზეა ხოლმე სადიფამაციო საჩივარი. დიფამაცია იმით განირჩევა ცილის დაწამებისაგან, რომ სადიფამაციო საქმეში სასამართლო არ შეიწყნარებს ხოლმე მოწმეთა ჩვენებასა და გარდა წერილობითის საბუთისა სასამართლო სხვა გვარს საბუთს არ შეიწყნარებს ხოლმე. ხოლო როცა ცილის წამების გამო არის საჩივარი, მაშინ მოწმეთა ჩვენებაც საკმარისი საბუთია სასამართლოსათვის. ბ-ნ ვირუბოვისა და მაჩაბლის საქმის გარჩევის დროს სამოსამართლო პალატაში თავს-მჯდომარედ იქმნება უფროსი თავს-მჯდომარე პალატისა გონჩაროვი და ბრალ-მდებელად—ანდრეევი.

⁂ თერგის ეპარქიის სამღვდელოებას გარდაუწყვეტია, რომ ამ შემოდგომაზევე გადმოტანილ იქმნას სასულიერო სასწავლებელი მოზდოკიდამ ვლადიკავკავს.

⁂ ჩვენ რამდენიმე საინტერესო ამბავი გვიამბეს რაჭისა: რაჭაში არის ერთი სოფელი, სახელად ხიმში, რომლის ახლოც რაღაც ძველი სასაფლაო. ამ სასაფლაოზედ აქაურნი მკვიდრნი ხშირად ჰპოულობენ სხვადასხვა ნივთებსა, სხვათა-შორის, ოქროს სამაჯეებსა და ოქროს ფულსაც-კი. ამას წინად ერთმა რაჭველმა გლეხმა იპოვა აქ რამდენიმე ოქროს ფული და, როგორც ამბობენ, ეს ფული მან ვლადიკავკავში წაიღო და იქ გაჰყიდაო. სულ რამდენიმე კვირაა, მოგვითხრო ჩვენ რაჭიდამ ჩამოსულმა, რაც იმავე სასაფლაოზედ მე ვიპოვე ორი ძველი შავი ფული: ერთი ირაკლი II-ის ფულია და მეორე ვგონებ იმის მამისა თეიმურაზ II-ისაო. ამას გარდა აქ იპოვება მეტად დიდი ძვლები კაცისა. ფულების გარდა რაჭაში ვიპოვე აგრეთვე ძალიან დიდი კბილი რაღაც პირუტყვისა, რომელიც, ჩემის აზრით, უნდა იყოს, წარღვნის უწინარესის რომელისამე უზარ-მაზარის ცხოველისა, როგორც მაგალითად არის მამონტიო. ეს ნივთები დღეს რედაქციასა აქვს ხელში „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ გარდასაცემლად.

⁂ რაჭიდამვე გვწერენ: აქ ერთს მიუდგომელს კლდეზედ არის აშენებული ეკლესია, რომელშიაც დიდი ხანია კაცი არ ყოფილა. კლდე ძრიელ მაღალია და ფრიალო: კლდე-

ფელეტონი

საზაფხულოდ სოფელში

(სიღნაღის მაზრიდამ)

(დასასრული*)

ვერც სხვა საქმეში იჩენენ ჩვენი სოფლელები ზნეობის სიმტკიცეს. მოგეხსენებათ, მამასახლისს სოფლის საზოგადო საქმეებში დიდი მინდობილობა აქვს მინიჭებული; მამასახლისს თითქმის შეუძლიან როგორც აშენება, ისე დაღუპვა სოფლისა. ეს სოფელმა ძლიერ კარგად იცის, მაგრამ მამასახლისის ამორჩევის დროს ხშირად ისეთს გულ-გრილობას, დაუდევრობას იჩენს, რომ კაცს უკვირს, როცა ამასა ჰხედავს. ვერ შეგიძლიანთ მიხვდეთ, რა აქვს ხალხს სახეში, როცა მამასახლისს ირჩევს. ეს მშვენიერი წესი თვით-მართებლობისა, რომლის ძალითაც ხალხს თვითონ ეძლევა ნება თავისავე შორის ამოირჩიოს სანდო კაცი სოფლის მმართველად, დღეს ისეთი გამოუსადეგარი, უმნიშვნელო გამხდარა სოფლელებისათვის, ხშირად ისეთ მავნებელ საგნადაც გარდაიქცევა ხოლმე, როგორც, მაგალითებრ, პატარა ბაშვის ხელში პირ-მახვილი დანა. ამოირჩევენ ხოლმე ზოგჯერ ოც-და-ხუთის წლის მეღორედ ან მეცხვარედ ნამყოფ კაცს, მერე ხშირად იმისთანას, რომელსაც არც ღვთისა გაეგება, არც ქვეყნისა, არც მთისა, არც ბარისა. ისეც მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება თავის უფროსად აშკარა ქურდსა და ავაზაკს ირჩევს. საჭიროა მხოლოდ ვინმემ მოიწადინოს მამასახლისობა, თავი გამოიდოს და როგორის ზნეობისა და ქცევისაც უნდა იყოს, მაინც არ გაუჭირდება და ისე მოახერხებს, რომ მთელის სოფლის საზოგადოებას თუ არა, უმრავლესობას მაინც მიიმხრობს თავისკენ. ამისთვის იმას არ დასჭირდება არც დიდი ჭკუა, არც მჭევრ-მეტყველობა, არც მკლავში ღონე, არც დიდი სიმდიდრე,—ერთად-ერთი და უუსაჭიროესი ღონე ის არის, რომ კარგად გაუმასპინძლდეს სოფელს. ასე ადვილად როგორ სტყუვდება ხალხიო? მკითხავთ თქვენ.— სრულიადაც არა სტყუვდება. ხალხი ნათლად ჰგრძნობს, რასაც სჩადის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს თავის საქციელსა. ბევრსა ვკითხე, რად სტყუვდებით მამასახლისის ამორჩევაში-მეთქი? ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მივიღე: რა მენაღვლება, სოფელი თუნდა შეჭამოს, თუნდა გაყიდოსო. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთი ამბები უდაბურ, მივარდნილ-მიყრუებულ სოფლებში კი არ მოხდება ხოლმე მარტო, არა უფრო ხშირად იმისთანა სოფლებში, რომელიც ქალაქებს ახლოა და რომლებშიაც შვიდ-ასი და რვა-ასი კომლი ითვლება; დაქრთამა და მოსყიდვა ფარულად კი არა ხდება,—არა, აშკარად, სასოფლოდ, დუქნებში, ყველას თვალ-წინ. რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამისთანა წინ-დაუხედაობას— ეს ცხადია; თქვენს უმორჩილეს მონას წელს ჰქონდა შემთხვევა ეგემა ამისი აუცილებელი ნაყოფი.

ხსენებულის გზით ამორჩეულ მამასახლისისათვის არ არსებობს დუნიაზედ არც სინიდისი, არც ზომიერება; გაგეშილ მგელივით მას მხოლოდ თავისი მუცელი და ჯიბე გაუხდია სათაყვანო კერპად, რომელსაც ხშირად წარმოუდგენელის ერთგულობით ემსახურება. გაფუჭდა, მაგალითებრ, სოფლის წყარო, რომელსაც მთელი სოფელი სვამს; ჩაიქცა ბოგირი, რომელზედაც მთელი სოფლის ურმები დღემუდამ დაიარება; ედება ცეცხლი სოფლის ყანებს; წარიღა ნიაღვარმა სოფლის უსაჭიროესი გზა...

თუ მოხდა ქურდობა, თავ პირის დაჩეხა, ცოლ-ქმრობის ღალატი, ერთის სიტყვით, ყოველი დანაშაულობა...

მამასახლისი ყოველთვის საქმეს „შინაურულად“ აბოლოვებს. აბა კიდეც აქ იჩენს სრულ თავის ხერხსა! როგორც ერთ მხარეს, ისე მეორეს, რომ მათ შემდეგისათვის აღარ გაბედონ ავი საქციელი, ართმევს დევის სალუკმო ჯარიმას, რომელსაც მდაბიურად ქრთამს ვეტყვით. საკვირველი და ამასთან სამწუხაროც ის არის, რომ მოპასუხეც და მოჩივარიც ისე მკვიდრად დაშოშმინდებიან ხოლმე მამასახლისის გავლენით, რომ რაც გინდა კეტით თავში სცემო, მით მამასახლისის საქციელზედ ენას არ დასძრავენ. რასაც მოგახსენებთ, არც ერთი ზღაპარი არ გახლავთ: სულ თვალითა მაქვს წელს ნანახი. ამ ზაფხულს ზოგი ისეთი დანაშაულობა დაიფარა ამ გზით, რომლის მომქმედთაც აუცილებლად ციმბირში გადასახლება მოელოდათ.

ამ გაზაფხულის დასასრულს ზოგიერთა მამასახლისებს ხომ განსაკუთრებული დარი დაუდგათ. მოვიდა ამბავი, რომ ცნობილი ავაზაკი ქიარიმა სიღნაღის მაზრაში იმყოფებაო. დაიძახეს მდევარი. თითო სოფლიდამ შვიდი-რვა ცხენოსანი კაცი გამოჰყავნდათ, რომელნიც სრული ერთი კვირა რჩებოდნენ მდევარზედ და მერე კი სხვები სცვლიდნენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უხალისოდ გამოვიდოდნენ მდევარზედ. დადიოდა მამასახლისი და ძალას ატანდა: გინდათ თუ არა გამოდით მდევარზედაო...

არც სოფლის მსაჯულებზედ ითქმის მომეტებული რამ სანუგეშო. ამ ვაჟ-ბატონების, რომელნიც თუ არ „სუდიათ,“—სხვა ნაირად არ იხსენიებიან, განსამართლების წესს და მოქმედებას რომ მოგიყვეთ, მეტად თავს შევაწყენთ და ამიტომ ვრჩეობ თავი დავანებო.

---

*) იხ. „ივერია“ № 205.

ეროვნული

ზედ ასვლა შეუძლებელია. ხალხი-კი ამბობს, რომ იქ ბევრი რამ ძვირფასი ნივთი და სამკაულია შენახულიო. რაჭაში გვქონდა განზრახვა, შეგვედგინა საზოგადოება და საერთო ღონით მოგვეხერხებინა იმ ეკკლესიაში ასვლა და იქაურობის დათვალიერება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ჩვენი განზრახვა ვერ შევასრულეთო.

*** რაჭაშივე ყოფილა ერთი შესანიშნავი სორის მონასტერი. ამბობენ, რომ რაც გელათში ძვირფასი ძველი ნაშთია დაცული, სულ ამ მონასტრიდამ არის წაღებულიო. ძველად იმიერ საქართველოსათვის რაჭა გასახიზნავი დასამალავი ალაგი ყოფილა, ისე როგორც სვანეთი. ამ სორის მონასტერშივე არის ერთი ძველი ხელთ-ნაწერი სახარება, ეტრატზე დაწერილი, რომლისაგანაც ეხლა რამდენიმე ფურცელი-ღაა გადარჩენილი. ამ ფურცელთა-შორის იყო ერთი ფურცელიცა, რომელზედაც სია იყო მოყვანილი ყველა იმ ნივთთა, რომელნიც სორის მონასტრიდამ იქმნა გელათში გადატანილიო.

*** გაზ. „Русскій Курьеръ“-ი ამბობს, რომ ამ ჟამად კვლავ ახალი პროექტი წარუდგენიათ სახელმწიფო რჩევისათვის იმის თაობაზედ, რომ ნავთს ბაჟი დაედოსო. თუ ეს პროექტი შეიწყნარეს, ბაჟი დაედება ნავთს მერმისის 1 მარტიდამაო. ეს გარემოება, რასაკვირველია, ფასს მოუმატებს ნავთს და საკმაოდ დააძვირებს ამ ყოვლად-საჭირო და სასარგებლო სანათს მასალას, რომელსაც ასე შეეჩვია ამ ჟამად სოფლის ხალხი საქართველოში.

*** 22 სექტემბერს 1-ის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს გაურჩევია საქმე ლაბორატორის ქუჩაზე დაწყებულის შენობის პატრონისა კოვალენკოსი, შენობის ზედამხედველის—სალამბეგოვისა და მეიჯარადრე თ. ნ. დიასამიძისა. მკითხველს ეხსომება, რომ ამ სახლის შენების დროს კედელი ჩამოინგრა და ორი მუშა დაიტანა: ერთი მათგანი გადაარჩინეს, ხოლო მეორე მკვდარი ამოიღეს მიწიდამ. გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ ბრალდებულთ არ იცვნეს თავისი თავი დამნაშავედაო. სახლის პატრონმა კოვალენკომ სთქვა, რომ მე სახლის აშენების საქმეში არ ვერევი და არც არავითარს განკარგულებას არ ვაძლევდი არავისაო. ყველა ეს საქმე ებარა სალამბეგოვსაო. სალამბეგოვის ვექილმა სთქვაო, რომ პირობის ძალით, რომელიც შეკრულია კოვალენკოსა და დიასამიძეს შორის, ამ უკანასკნელის ვალი იყო მიეცა ჯინჯიბახები აკოფოვის სახლების კედლისთვისა უარხიტექტოროდაო. არხიტექტორმა შესაბამი განკარგულება მოახდინა და ამისათვის სალამბეგოვმა არც არავითარი პასუხი არ უნდა აგოსო. თ. ნ. დიასამიძემ სთქვა, რომ, რაც შენობის საქმეს შეეხებოდა, მე იქ არავითარის ბრძანებისა და განკარგულების ნება არა მქონდაო. მე მუშები და კალატოზები მივიყვანე და უთხარი ემუშავნათ ისე, როგორც ბრძანება მიეცემოდათო. ჩემის სიტყვების დასამტკიცებლად გთხოვთ მოწმეთ ჩვენება ჩამოართვათო.

მომრიგებელმა მოსამართლემ იმ დღესვე ჰნახა კოვალენკოს შენობა მცოდნე კაცების თანადასწრებით და გადასდო საქმე, რადგან საჭიროა მოწმეთ ჩვენება ჩამოერთვას და მცოდნე კაცებს გამოეკითხოს ყოველივე გარემოებაო.

*** ბათუმიდამა სწერენ გაზ. „კავკაზს“: ამ დღეებში აქ კასპისა და შავის ზღვის ნავთის მწარმოებელ საზოგადოების გამგეობა როტშილდისა იწყებს თავის მოქმედებასაო. ამ საზოგადოების დირექტორები თავ. ორბელიანი და ერისთავი ბათუმში უკვე მოვიდნენ და რადგან მესამე დირექტორი ბ-ნი ეფრუსსი ჯერ არ მოსულა, იმის თანამდებობას დროებით შეასრულებს იმისივე კანდიდატი ბ-ნი ვან-ფლიტიო.

*** ამავე გაზეთსა სწერენ ახალ-სენაკიდამ 20 სექტემბერს: აგერ რამდენიმე დღეა, რაც განუწყვეტელი წვიმები მოდის აქა. ყველგან ჭოჭია, ჰაერი ნოტიოა და ამის გამო სხვა-და-სხვა ავად-მყოფობანია გავრცელებულიო. 20 სექტემბრის დილით დაიწყო შხაპუნა წვიმა და ნახევარ საათის განმავლობაში იმდენი მოვიდა, რომ წყლები ადიდა მეტის-მეტადაო. ხოპმა, ცხენის-წყალმა, აბაშამ, ინგურმა და სხვა წყლებმა დიდი ზარალი მისცეს სოფლებსა. პატარა წყალი ახალ-სენაკისა, რომელიც ზაფხულში ყოველთვისა ჰშრება ხოლმე, ისე წამოდიდდა, რომ ფაეტონი მოიტაცა, და დაამტვრია. ცხენები დაირჩნენ და შიგ მსხდომარენი კი იქვე მყოფმა გლეხებმა გადაარჩინეს. ამ ჟამადაც კი ისეთი შხაპუნა წვიმა მოდის, რომ ამისთანა წვიმა 1877 წლიდგან არავის არ ახსოვსო.

ისეც იმედი არა გვქონდა მოსავლისა და ამ განუწყვეტელმა წვიმებმა ხომ ასე გადაგვიწყვიტეს იმედი, რომ ნაგვიანევი ნათესი სიმინდი სულ დაღუპულია, თუ გინდა შემოდგომის მეორე თთვეს კარგი დარებიც დაიჭიროსო. სიმინდის ფასმა ძალიან აიწია. ყოველთვის ამ დროს სიმინდის ფასს არც აკლდებოდა და არც ემატებოდა ხოლმე, ეხლა კი ერთი ბათმანი (ბათმანი 20 გირვანქაა) სიმინდი 20—25-დგან 30—35 კაპეიკამდე ისყიდება და როგორც ეტყობა, თან-და-თან უფრო აიწევსო. რკინის გზის სადგური ნოვო-სენაკსა, სამტრედიასა და აბაშასთან, რომელთ ახლოც დიდრონი სოფლებია და ამ სოფლებში უმეტესს ნაწილად სიმინდი მოჰყავთ, უნდა გაიმართოს „პლატფორმები“ ლიანდაგს ახლო, სადაც სიმინდების დაწყობა შეიძლებოდეს. როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის გზის სადგურებზედ უკვე გამართულია ამისთანა ადგილები, რადგან ძალიან საჭიროა, როგორც სიმარჯვისა, აგრეთვე საქონლის გადატანის სიაფისათვის. მით უფრო საჭიროა ამისთანა ადგილების გამართვა, რომ სამზღვარ-გარეთიდამ უფრო-და-უფრო თხოულობენ სიმინდს და ბევრი გააქვთ. ერთი გროში რომ მეტი წავიდეს სიმინდის გაგზავნაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მსყიდველებისთვის და ამ სიმინდით კი თითქმის ნახევარი ქუთაისის გუბერნია ვაჭრობს და სცხოვრებსო.

დამკვირდი!

ნურავის ნუ გასწირავთ თქვენის ბედნიერებისათვის: სხვისის გაუბედურებით კაცი ვერ იბედნიერებს. (ბუსტი)

**

დრონი და წელიწადნი რაც კარგია, გვაკლებენ და რაც ცუდია, გვარჩენენ. (დალგა)

**

სიყვარული სახადს ყვავილსავით არის, რაც გვიან შეეყრება კაცს, მით უფრო საშიშარია. (რაბუტინი)

**

მას დავნატრი, ვინცა სწორედ
სვლად საწუთროს გზას გაჭკვალავს.
(დ. გურამიშვილი)

**

ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა.
(შ. რუსთაველი)

**

რისხვას შესძინებს რისხვაზედ,
ვინც ცრუდ თავს განიმართლებს.
(არჩილ მეფე)

**

ვინცა გირჩიოს, ნუ ისმენ
ერთა ჭირსა და სვეჭსასა,
საქვეყნო მტერად შერაცხე,
მოჰკალ, ჩააგდე, ჭე, ჭასა!
(მეფე ვახტანგ მე-VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბარონი კაულბარსი, როგორც ვიცით, გაგზავნილია ბოლგარიაში, როგორც დიპლომატი, რომელმაც პირ და-პირ საქმე უნდა იქონიოს ბოლგარიის მთავრობასთან, რჩევა და დარიგება მისცეს, რომ არეულობა დროზედ მოისპოს და ბოლგარიის საქმე რიგში და წესში იყოს მოყვანილი.

გაზეთს „Московскія Вѣдомости“-ს ძრიელ არ მოსწონს ესა და გულის წყრომით იძახის:

> განა ეხლა დროა დიპლომატები ვგზავნოთ ბოლგარიაში? სად არის ბოლგარიაში მთავრობა? განა რუსეთს შეჰფერის თავის წარმომადგენელი იყოლიოს იმ მთავრობასთან, რომელიც ეხლა ბოლგარიას განაგებს? სხვა ვისთან უნდა იქონიოს რუსეთის დიპლომატმა საქმე? არა, ჩვენ დღეს დიპლომატი არ გვინდა ბოლგარიაში,—ჩვენ გვინდა ისეთი კაცი, რომელმაც ბოლგარებს პირდაპირ უნდა გამოუცხადოს ჩვენი წადილი, პირდაპირ აუწყოს გარდაწყვეტილი სიტყვა რუსეთის იმპერატორისა. ბარონმა კაულბარსმა რჩევა და დარიგება კი არ უნდა აძლიოს, პირდაპირ უნდა უბძანოს და ყველა უნდა ემორჩილებოდეს იმის ბრძანებასა.

ვინ განაგებს ეხლა ბოლგარიის საქმეებს? ვინ არის ეს მთავრობა, რომელიც საქმეებს განგებ სწეწავს და ბოლგარიის ერს განსაცდელში აგდებსო?—კითხულობს გაზეთი.

> ეს მთავრობა ბატენბერგის კუდია, ბატენბერგის ერთგულის მომხრეებისაგან არის შედგენილიო. ბატენბერგი წავიდა ბოლგარიიდამ,—ესენიც უნდა უკან გაჰყვნენ. დღევანდელი მთავრობა კანონიერი არ არის. ბოლგარია უნდა განთავისუფლდეს ამ გვარის ხალხისაგან, თუ ბოლგარიისთვის სიკეთე გვსურს, თუ გვინდა არეულობა, უსამართლობა მოვსპოთ ამ უბედურ ქვეყანაში, ეს ხალხი უნდა მოვაშოროთ ბოლგარიის ერსა.

სად არიან ბოლგარიის ერთგულნი შვილნი? ვინ არიან ისინი, რომელთაც დღევანდელი მთავრობა ბოლგარიისა სდევნის და ციხეებში ალპობს? — კითხულობს კიდევ გაზეთი.

> ესენი მთავარ ალექსანდრეს მოწინააღმდეგენი არიან და რუსეთის მომხრენი. ეს არის მთელი ამათი დანაშაულობა, ამისთვის იტანჯებიან.

რა ჰქნას ბოლგარიის ერმა, როდესაც მისი ერთგულნი მომხრენი, მისი კეთილის მსურველნი ყოველს ღონის-ძიებას მოკლებულნი არიან ხმა მიაწვდინონ ხალხს და შემწეობა აღმოუჩინონ? ვინა ჰყავს ხალხს გზის მაჩვენებელი. ჩვენ უნდა მივეშველნეთ ბოლგარებს; ჩვენმა აგენტებმა უნდა დაარწმუნონ ბოლგარები, რომ რუსეთი ყოველთვის ჰზრუნავს იმათზე, რუსეთს კეთილი ჰსურს ბოლგარიისთვის.

> მხოლოდ ერთი კი გვაფიქრებსო,—ამბობს ბოლოს გაზეთი. შეიძლებენ დღეს ჩვენი აგენტები შეატყობინონ ბოლგარიის ერსა ყველაფერი, რაც რუსეთსა ჰსურს? მთავრობა, სამწუხაროდ, ბატენბერგის მოკეთეების ხელშია და ესენი ბოლგარებს სულ წინააღმდეგს ელაპარაკებიან.

ყველა ჩვენის ნათქვამიდამ სოფლის მოხელეებზედ მხოლოდ ეს შეიძლება დავასკვნათ: დღევანდელი წესი ჩვენის სოფლის თვით-მართებლობისა მეტად სუსტს ნიადაგზედ არის აშენებული და ამიტომ მისი შეცვლა ყოვლად საჭირო და სასურველია.

შესანიშნავი, როგორც ჩვენის წერილიდამაც უნდა სჩანდეს, კიდევ ის არის, რომ ხალხი მეტად დიდს გულგრილობას და დაუდევრობას იჩენს სასოფლო ანუ საზოგადო საქმეებში, როგორც, მაგალითებრ, მოხელეების არჩევანის დროს, მათ უმართებულო მოქმედების დროს და სხვ. „უმიზეზოდ არა რაი იქმნებისო“, ძველადგანვე უთქვამთ. ამასაც საკუთარი მიზეზი აქვს, რომელზედაც სხვა დროს თუ ვიტყვით რასმე, თორემ ეხლა მეტად თავი შეგაწყინეთ.

ალ. მირიანაშვილი

შარდენი საქართველოში

VII

(შემდეგი*)

ქართლში მხოლოდ ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და ტფილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ვაკეზედ, ორის მთის შუა, მტკვრის ნაპირას, ერთის გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული. ციხის მცველები სპარსები არიან. ეს ციხე აუშენებია გურჯისტანის უკანასკნელის ომის დროს, ორმოცის წლის წინად, რუსტენ-ხანსა, რომელიც სპარსეთის ჯარის სარდალი იყო. ციხის გეგმა შეუდგენია ერთს მისსიონერს, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა. ციხეს არა ჰყავს ბევრი მცველი. ციხე ძალიან მაგარია. იმიტომ არის მაგარი, რომ მოხერხებულს ადგილზე არის აშენებული. ციხეში ასი კაცია მეციხოვნედ. თვით ქალაქი პატარაა, სახლები და ბაზარი მიწურებია. მცხოვრებლები სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულებიც. აქ უხვად არის ყველაფერი ხორაგი და იაფადაც ისყიდება. სახელი გორი წარმოსდგება სიტყვა „ღორი“-საგან, რადგან გორში მრავალი და კარგის ჯიშის ღორები ჰყავთ.

სურამი დაბა უფროა, გორზედ ორჯელ პატარა არის, მაგრამ ციხე, რომელიც სურამს ახლოა, დიდი და კარგად ნაგებია. ამ ციხეშიაც ასი მეციხოვნე სდგას. სურამის მახლობლად არის ერთი ალაგი, რომელიც იწოდება სამცხედ. ეს სახელი ქართულია და ჰნიშნავს სამ ციხეს. იქაურების სიტყვით, ნოე იქ დასახლებულა კიდობნიდამ გამოსვლის შემდეგ და მის შვილებს სამივეს თითო-თითო ციხე აუშენებიათ. ქალაქ ალზედ აღარას ვიტყვი, რადგან ზევითა მქონდა ამ ქალაქზედ ლაპარაკი.

საქართველოში კარგი ჰავა არის. ჰავა ხმელია, ზამთარში ძალიან ცივი და ზაფხულში-კი ცხელი. მაისიდამ ნოემბრის დამლევამდე სულ კარგი დარები სდგას ხოლმე. იქაურს მიწას მორწყვა უხდება, და თუ მოირწყა, უხვად აღმოაცენებს ყოველგვარ მარცვალს, მწვანილს და ხილს. საქართველო ძალიან ნაყოფიერი ქვეყანაა. იქ ადვილად და კარგად სცხოვრობენ. ისეთი მშვენიერი პური მოდის, რომ სხვაგან არსად იცის ისეთი პური. ხილიც ძალიან კარგი იცის. ყოველ-გვარი ხილეულობა მოდის. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი; აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროწეული. როგორც სხვილი, ისე წვრილ-ფეხი საქონელი მრავალია და ძალიან კარგის ჯიშისა. გარეული ღორი საკმაოდ ბევრია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს იქ ღორს, როგორც კოლხიდაში. დაბალი ხალხი თითქმის სულ ღორის ხორცსა სჭამს. ყველა სოფელში ინახავენ ღორებს და მართალი რომ ვსთქვათ, მშვენიერი საჭმელია ღორის ხორცი. იქაურები გვარწმუნებდნენ, რომ ღორის ხორცი თავის დღეში არ აწყენს კაცს, რამდენიც უნდა სჭამოსო. მგონია ეს მართალი უნდა იყოს, რადგან თითქმის ყოველ დღე იმასა ვსჭამდი, მაგრამ არ მაწყინა. კასპიის ზღვაში, რომელიც ახლოა საქართველოზედ, და მტკვარში მრავალს თევზს იჭერენ. დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვათ, რომ იმისთანა ქვეყანა არ არის, სადაც შეიძლებოდეს ყოველთვის იმისთანა კარგის სანოვაგის შოვნა, როგორც საქართველოში.

არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენს და ისე კარგ ღვინოს სვამდნენ. ვაზი იქ ხეებზე ეხვევა, როგორც კოლხიდაში. ტფილისიდგან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისთვის სომხითში, მიდიაში, ისპანიაში. ცხენის საპალნე ღვინო ღირს რვა ფრანკი. მე ვამბობ უკეთესს ღვინოზედ, თორემ ცოტა მდარე ღვინო არც ამის ნახევრადა ფასობს. ყველა სხვა სანოვაგეც ღვინის ფასის შესაბამად ძვირი არ არის. საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები ამბობენ. იქაურებმა კარგად არ იციან აბრეშუმის მოვლის ხელი. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, აზრუმში და სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან.

ქართველების ტომი უუმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლიან ვსთქვა, მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდის სახის ქალი ან კაცი, ანგელოზივით ლამაზები ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი

---

*) იხ. „ივერია“ № 205.

არც სხვა სახელმწიფოების წარმოდგენელნი სხედან გულ-ხელ დაკრეფილნი, ესენიც ჩუმ-ჩუმად თავიანთ საქმეს აკეთებენ. ტყუილად გვეგონა, ვითომ ესენი ჩაჩუმდნენ და საქმეს თავი დაანებესო!...

* * *

გაზეთ „Правительственный Вѣстникъ“-ის კორრესპონდენტი საინტერესო ამბებს მოგვითხრობს ჩინეთის იმპერატორზე.

> ჩინეთის იმპერატორი ამ წელს სრულწლოვანი შეიქმნა და აი ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინში დიდ-კაცის ქალები იყვნენ შეგროვილნი ჩინეთის ყველა მხარეებიდამ. პეკინში რამდენიმე ასი ქალი შეგროვდა და ამათგან ერთი რომელიმე უნდა ამოირჩიოს იმპერატორმა მეუღლედ. იმპერატორს აქამდინ ვერ გარდაუწყვეტია, რომელი აირჩიოს. დღესაც 30 ქალი იმპერატორის სასახლეში სცხოვრებს და მოელოდება—რომელს არგუნებს ბედი ჩინეთის დედოფლობას. მომავალ დედოფლისთვის სასახლესაც აშენებენ, გაზაფხულიდამ დაწყობილი დღემდე 50-ათასი კაცი მუშაობს ამ სასახლეზეო.

ერთს ახირებულ ჩვეულებას გვიამბობს კიდევ კორრესპონდენტი:

> იმპერატორის დედა, რომელიც, მინამ შვილი მცირე წლოვანი იყო, მთელს სახელმწიფოს განაგებდა, დღეს, როდესაც თვით იმპერატორი დაჯდება ტახტზედა, უნდა გამოესალმოს ყველაფერს და მონასტერში წავიდეს საცხოვრებლადაო.

არაფერი სასიამოვნოა, სამეფო ტახტიდამ კაცი პირდაპირ მონასტერში გადვიდეს! ეტყობა თვით ჩინეთის დედოფალსაც არ მოსწონს ესა და ამიტომ აგვიანებს თავის შვილის ტახტზე ასვლასა! ჩინეთის იმპერატორი კარგა ხანია შეიქმნა სრულ-წლოვანი და დღემდე კი ტახტზე არ ასულა.

* * *

რა მოელის კაცს ცხოვრებაში, ხშირად როგორ გადუტრიალდება ხოლმე ბედი,—შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, რომელიც გაზეთ „Новое Время“-შია დაბეჭდილი.

> პეტერბურგის პოლიციის განკარგულებაში სწერია: საიმპერატორო თეატრების არტისტი გიორგი ნოვაცკი განწესებულია პოლიციის ამა და ამ განყოფილებაში ქაღალდების გადასაწერად, წელიწადში 240 მანეთ ჯამაგირზეო.

240 მანეთი ჯამაგირი წელიწადში! ამასა სჯერდება საიმპერატორო თეატრის არტისტი!—მოდი და ნუ იტყვი, რომ მუხანათი და შეუბრალებელია ამა სოფლისა ცხოვრება!

უცხოეთი

ბოლგარია. თუმცა კარგა ხანია, რაც ალექსანდრე ბატტენბერგმა უარ-ჰყო ტახტი, თუმცა ბოლგარიის სარეგენტო მთავრობამ უკვე გამოუცხადა რუსეთის აგენტს კაულბარსს, რომ ბატტენბერგს მთავრად აღარ ამოვირჩევთო, მაინც სამხღვარ-გარეთის გაზეთები თავს არ ანებებენ ალექსანდრე მთავარზე ბასსა და ძალიან გაკვირვებულნი არიან: რა იყო მიზეზი, რომ ალექსანდრემ ტახტი უარ-ჰყოვო. აი, მაგალითებრ, გაზ. „Nordd. Allg. Zeit.“ რას ამბობს: „ბოლგარიის საერო კრება ყოველთვის სწუხდა, რომ ალექსანდრე ბატტენბერგმა ბოლგარიის სამთავრო ტახტს თავი დაანებაო. რომ ბოლგარიის ერი ალექსანდრე მთავარს პატივსა სცემდა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ როცა პრეზიდენტს ირჩევდნენ, ცანკოვს ორ-ასს ხმაში, ცამეტი ხმა მიემხრო მარტოვო და სხ. ყველა აქედგან ის შეგვიძლიან დავასკვნათო, ამბობს გაზეთი, ალექსანდრე ბატტენბერგი რომ ბოლგარიაში დარჩომილიყო, საერო კრების უმეტესობა და ბევრი ნაწილი ჯარისა იმისაკენ იქმნებოდაო. ორიოდ-სამიოდე რაზმის ჯარის უკმაყოფილება და აშლა-დაშლა ალექსანდრეს ვერაფერს დააკლებდაო. ამ გარემოებათა რომ გაიხსენებთ, მაშინვე ის საკითხავი გვადგება ენაზე: რათ დაანება ალექსანდრემ სამთავრო ტახტს თავიო? სულ სხვა იქმნებოდა, რომ 9 აგვისტოს ამბოხების შემდეგ ლვოვიდამ არ დაბრუნებულიყო. ხოლო რაკი დაბრუნდა უკანვე და არც ბოლგარიის ერი იყო წინააღმდეგი მთავრის დაბრუნებისა, პირიქით სთხოვდა კიდეც, დარჩიო და ჯარმაც ალტაცებით მიიღო ნამთავრალი, რაღათ დაანება თავი, რაღათ წავიდა ბოლგარიიდამ ერის სურვილის წინააღმდეგ, ძნელი გასაგებიაო. გაზეთებში ტყუილი ამბავი იყო დაბეჭდილი, ვითომ ალექსანდრე დიდთა სახელმწიფოთაგან იძულებულ იქმნა თავი დაენებებინა სამთავრო ტახტისათვისაო. პირ-იქით ყველა დიდნი სახელმწიფონი და მათს რიცხვში ოსმალეთიც ცხადად და ჩუმად მხარს უჭერდნენ ალექსანდრეს, არც ერთს სახელმწიფოს ისეთი არა უთქვამს-რა, რომ იმის გულისთვის ალექსანდრეს თავი დაენებებინა ტახტისათვის და უარ-ეყოვო. თუ იმას იტყვიან, რომ რუსეთსა და ალექსანდრეს შორის უსიამოვნობა სუფევდა, ეს უსიამოვნება ხუთი წელიწადია რაც არსებობს, ხუთი წელიწადია რაც რუსეთის მოწინააღმდეგეთ ალექსანდრე მთავარი მიემხრო და ისიც არასასარგებლოდ ბოლგარიისაო. თუ-კი რვა წელიწადი მთავრად იყო და ბოლგარიის საქმეებს განაგებდა, რაღა ახლა იფიქრა, რომ ურუსეთოდ არ შემიძლიან მთავრად ყოფნაო. ეს პრინცის კეთილისმყოფელებმა და მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომელნიც ცხარედ ექომაგებოდნენო. ის ამბავი, ვითომ დიდთა სახელმწიფოთ იძულებულ ჰყვეს ალექსანდრე, რომ ტახტი უარ-ეყო, ტყუილია; ალექსანდრემ თავის ნებით უარ-ჰყო სამთავრო ტახტი და არ მიჰხედა ჯარისა და მკვიდრთა თხოვნას. ჩვენ ამის პასუხს იმ გაზეთებისაგან ველითო, ამბობს გაზეთი, რომელნიც ცხარედ იცავენ ბოლგარიის ინტერესებს და ალექსანდრე ბატტენბერგსაო. ამ გაზეთებმა უნდა აგვიხსნან, რა იყო მიზეზი, რომ მთავარ ალექსანდრემ უარ-ჰყო ტახტიო. თუ მწერლობა არ გამოააშკარავებს ალექსანდრეს ტახტის უარ-ყოფის მიზეზს, მაშინ ავსტრო-ვენგრიის პარლამენტისა და გერმანიის რეიხსტაგის გამათობა ახსნის ამ გარემოებასაო.

ნათლის მცემლის უდაბნო კახეთში.

ამ უდაბნოში ეკკლესია და თვით საკურთხეველიც გამოკვეთილია კლდეში. ტრაპეზი აქვს ქვითკირისა, კანკელი სდგას გაჯისა, ჩუქურთმით მოჭრილი და დავარაყებული.

ეკკლესია სიგრძით 8 საჟ. და ერთი ჩარექია, სიგანით $3^{1}/_{2}$ საჟ. და სიმაღლით 4 საჟენი. ამ უდაბნოში იპოებიან ზოგიერთნი შესანიშნავნი ნივთნი და ხელთ-ნაწერი წიგნები. ნივთებში შესანიშნავია ორი ტრაპეზის ჯვარი. პირველი ხისაა ჩინებულის ხელოვნებით ნაკეთები, ოქროთი შეჭედილი და უსხედს 22 ზურმუხტი და 1 ფირუზი. ნაპირებში უსხედს წვრილი ფირუზები და სეილანები. შეწირულია მეფის ასულის ელენასაგან.

მეორე ჯვარს მოჭრილს და შეჭედილს ოქროთი და მინანქრით, ხელთ საჭერი ოქროსი აქვს, თვლები უსხედს: 15 ზურმუხტი და მეთექვსმეტე თეთრი თვალი ზის თავში, 17 იაგუნდი და ოთხსავე კუთხივ თითო ოქროს ბუშტი აქვს და ზედ სამ-სამი მარგალიტი აქვს ასხმული.

ხატი ნათლის-მცემლის თავის-კვეთისა, რომლის ზევითა პირი მოჭედილი არის ოქროთი და 18 იაგუნდი და 21 ფირუზი უზის. უკანა ზურგი შეჭედილი აქვს ვერცხლით და ოქროთი დაფერილი, ზედ პატარა კარი აქვს და შიგ-ოთხი წმიდა ნაწილი ასვენია. ეს პოვნილ არს ვერან გარესჯას, დროსა მეფის ირაკლისასა, მწყემსისა ვისგანმე და აქვს წარწერა: „მეფემან ალექსანდრემ და დედოფალმან თინათინ შევსწირეთ ხატი ესე მრავალ მთის იოანე ნათლის მცემლის მონასტერსა. წმინდაო უდიდებულესო ნაშობთა დედათასა, ქრისტეს ნათლის მცემელო იოანე დღეგრძელობით და კეთილად დაიცვენ ორთავე შინა ცხოვრებას მეფეთ-მეფე ალექსანდრე და დედოფალთ-დედოფალი თინათინ. ამინ. მეორე ხატს ნათლის-მცემლის თავის-კვეთისას, რომლის ზევითი პირი არის ოქროთი მოჭედილი და ამის შუა პინაკი, უსხედს თვლები 21 იაგუნდი, 23 ფირუზი და ერთი მარგალიტი (სამი თვალი აკლია). უკანა ზურგი ვერცხლით მოჭედილი და მოოქროვილია და ოთხი ნაწილი ასვენია. წარწერა აქვს: „ალექსანდრე მეფემ შევამკევ.“

მესამე ხატი ღვთის მშობლისა, მომცრო, გარეშემო ვერცხლით არის შეჭედილი. გვირგვინს ზევით თავში 4 ალმასი უზის და იესოს გვირგვინში 3 ალმასი, 178 ჰოტა მარგალიტი და 73 სხვა-და-სხვა თვლები უსხედს. ზურგზედ აქვს წარწერა: «როსტომ ყაითმაზაშვილისაგან შემკობილი».

ეტრატზედ ნაწერნი წიგნები:

1) წიგნი ღვთის მშობლის და ყოველთა წმინდათა საყოველდღეო საკითხავი არის ნაწერი ხუცურად და აკლია თავი და ბოლო. 2) წლის მეტაფრასი ხუცურად. დაშლილია.

ქაღალდზედ ნაწერნი:

1) გრდემლი. 2) წლის მეტაფრასი. 3) წიგნი გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. 4) წიგნი მატთეს სახარების თარგმანისა იოანე ოქროპირის მიერ. 5) მარკოზის სახარების თარგმანი. 6) წიგნი სასუფეველად წოდებული. 7) იოანეს სახარების თარგმანი, ორი წიგნია. 8) ლუკას სახარების თარგმანი. 9) მატთეს სახარების თარგმანი. 10) ქართლის ცხოვრება. 11) წიგნი ნათლის ღებისათვის ვასილისა. ეს წიგნი თარგმნილი არს ბერძულით ქართულად ღირსის მამის ჩვენისა ევთიმეს მიერ და აღწერილია რომელისამე მონაზონის იოსებისაგან. 12) თარგმანი ლუკას სახარებისა იოანე ოქროპირისაგან. 13) სწავლანი დიონოსე არიოპაგელისა, თარგმნილი ევთიმესაგან. 14) წიგნი განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა. 15) წიგნი გრიგოლ ნოსელისა. 16) ასკეტიკა. 17) წიგნი გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. 18) ღვთის მეტყველება ანტონ კათოლიკოზისა, აღწერილია 1780 წ. ფებერვლის 6-სა. 19) ღვთის-მეტყველება იოანე დამასკელისა, აღწერილია 1717 წ. ივნისის 20-ს. 20) წიგნი კოსმან და დამიანესი. 21) წმიდათ ცხოვრება. 22) ლავსაიკონი. 23) წმიდათ კრებათა და მამათა კანონნი 24) წიგნი გრიგოლ რომთა პაპისა, თარგმნილია ბერძულით ღირსის ევთიმესაგან, აღწერილია წინამძღვრის იოსებისაგან ნოემბრის 23, ქორონიკ. 403. 25) წიგნი მეექვსე კრებაზედ. 26) წიგნი

ბუნებას ისეთის სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვაგან ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურს ქალს და არ შეგიყვარდესთ. არ შეიძლება დაჰხატო ქართველ ქალების სახესა და ტანადობაზედ უმშვენიერესი სახე და ტანადობა: მშვენიერნი, თვალ-ტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი. იშვიათად ჰნახავ, ქალი უშნოდ იყოს დასქელებული. მხოლოდ ის აუშნოებს ქართველ ქალებს, რომ ფერ-უმარილს ისვამენ, უმშვენიერესნი სხვებზედ უფრო მეტად ისვამენ უმარილსა. ასე ჰგონიათ, ფერ-უმარილი სამკაულია და ისე ხმარობენ, როგორც, მაგალითებრ, ჩვენში თვალ-მარგალიტს და კარგს ტანისამოსსა.

ქართველები ბუნებით მეტად ნიჭიერნი არიან. ქართველები მსწავლულები და დიდი ხელოვანნი გამოვიდოდნენ, რომ სწავლაში და ხელოვნებაში მწყურთვნელნი ჰყავდეთ. მაგრამ იმათ ძრიელ ცუდად ჰზრდიან და, რადგან ამასთანავე ცუდს მაგალითებსაც ჰხედავენ, ამის გამო მეტად უცოდინარნი და ბიწიერნი არიან. ქართველებში ბევრია მხაკვარი, ვერაგი, დაუნდობელი, ცბიერი, ბრიყვი, ამპარტავანი. ქართველებმა საოცრად ურცხვად იციან უარის ყოფა იმისი, რაც უთქვამთ და მოუქმედებიათ, ტყუილი მართლად გამოჰყავთ; რაც ერგებათ შრომისათვის, იმას არა სჯერდებიან და მეტის თხოვნა უყვართ; უყვართ აგრეთვე საქმის გადასხვაფერება, განძრახ სხვა ნაირად ჩვენება თავისა. ძრიელ იციან ჯავრის ჩატანა და თავის დღეში არ აპატიებენ კაცს დანაშაულს, თუმცა, მართალია, მალე კი არ მოსდით გული და არც უმიზეზოდ დაიხსომებენ ჯავრს. კაპუცინების პრეფექტმა დამარწმუნა, კათოლიკოზისაგან გამიგონიაო, რომ ვინც დიდ დღესასწაულებში (მაგალითად, აღდგომას, შობას) არ დაითვრება, ქრისტიანად არ ითვლება და უნდა განდევნილი შეიქმნასო. ქართველები, გარდა ამისა, ძრიელ ანგარნი და ვერცხლის მოყვარულნი არიან. ფულს მხოლოდ მაშინ გაასესხებენ, თუ დაიგირავეს რამე და სულ მცირე სარგებელს მანათზედ ორ შაურსართმევენ. ქალებიც ისეთივე ბიწიერნი და ავნი არიან, როგორც კაცები. ქალებს ძალიან უყვართ არშიყობა და ეჭვი არ არის, რომ კაცებს ამ უზნეობაში დიდი მონაწილეობა აქვთ. სხვათრივ ქართველები თავაზიანები არიან, მოსიყვარულე გულისანი, თავ-მომწონენი და თავ-დაჭერილნი. ზნე და ჩვეულება უმეტესს ნაწილად შეთვისებული აქვთ იმ ერთაგან, რომელნიც გარს არტყიან ქართველების ქვეყანას. ეს, ჩემის აზრით, იმისაგან წარმოსდგება, რომ ქართველებს მისვლა-მოსვლა აქვსთ მრავალ სხვა ხალხებთან, და აგრეთვე იმისაგანაც, რომ საქართველოში ყველასა აქვს უფლება იცხოვროს თავის რჯულისა და ჩვეულებისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგნებზედ და დაიცვას მათი შეუხებლობა. იქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპიელებს. სომხები ბევრნი არიან იქ. ისინი ქართველებზედ უფრო მდიდრები არიან და დაბალის მოხელეების ადგილები უმეტესად სომხებს უჭირავთ. ქართველები იმათზე ძლიერნი, თავ-მომწონენი, ზვავნი და მედიდურნი არიან. სარწმუნოებისა, ზნისა და ხასიათის სხვა-და-სხვაობა ქართველებისა და სომხების არის მიზეზი მათ შორის დიდის სიძულვილისა. ქართველებსა და სომხებს ეზიზღებათ ერთმანეთი და არა ნათესავდებიან ერთმანერთში. განსაკუთრებით ქართველებს ძრიელა სძულთ სომხები და თითქმის ისე უყურებენ, როგორც ევროპაში—ურიებს. ქართველების ტანისამოსი თითქმის სრულიად პოლშურ ტანისამოსსა ჰგავს. ქართველები იმ გვარსავე ქუდებს იხურავენ, როგორც პოლშელები. მათი ახალუხი გულ-ჩაღილულია და წინ კი კალთები გაშლილი აქვს. ფეხ-საცმელი სპარსელების ფეხ-საცმელსა ჰგავს. ქალების ტანისამოსი სპარსულ ქალების ტანისამოსის მაგვარია სრულიად.

დიდ-კაცების სახლები და ყველა სახელმწიფო შენობანი სპარსულ შენობათა გეგმაზედ არიან ნაშენნი. სახლების აშენება იაფად ჯდება იქ, რადგან უხვად არის ხე-ტყე, ქვა, კირი. ქართველები სპარსელებსვე ჰბაძავენ სხდომაში, წოლაში, ჭამა სმაში.

მებატონეებს ძრიელ დიდი უფლება აქვსთ ყმებზედ. მებატონენი მთელის თვეების განმავალობაში რამდენიც უნდათ, იმდენს ამუშავებენ ყმებსა და არც ჯამაგირს და არც საზრდოს აძლევენ. მებატონეთ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც-კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებსა და ან მონებადა ჰყავსთ სახლში; იშვიათად ჰყიდიან ყმებს ოცის წლისაზე ზევით, განსაკუთრებით ქალებს ქართველების სარწმუნოება ჰგავს მეგრელების სარწმუნოებას. პირველებმაც და მეორეებმაც ერთ დროს მიიღეს ქრისტიანობა, სახელდობრ, მეოთხე საუკუნეში. ამ ქვეყანამ მიიღო სარწმუნოება ივერიელის ქალისაგან, ხოლო ეს ქალი კონსტანტინოპოლში მოქცეულიყო ქრისტიანობის სჯულზედა. ეხლა როგორც მეგრელთ, ისე ქართველთ დაუვიწყნიათ აზრი ქრისტიანობისა. ქართველებსაც მეგრელებსავით სახელის მეტი აღარა დარჩენიათ-რა ქრისტიანული; არ იციან და არ ასრულებენ არც ერთს მცნებას იესო ქრისტეს-მიერ ნამოძღვრალსა. თუმცა უნდა კი ვსთქვათ, რომ ქართველები უფრო მტკიცედ ინახავენ მარხვას და უფრო ხანგრძლივ ლოცულობენ, ვიდრე მეგრელნი.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

N 218

შვიდთა მსოფლიო ბერებთა. 27) წიგნი მარწუხად წოდებული. 28) წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა. 29) წიგნი წმიდათა მოღვაწეთა. 30) წიგნი ნებროთისი. ეს არს ისტორიული მოთხრობა ქვეყნის შექმნიდან თეოდორე დიდამდე, თხზულება მღუდელ-მონაზონის გრიგორისა. 31) მარხვის მეტაფრასი 32) წიგნი კლემექსად წოდებული. აღწერილია ამ მონასტერში ხუცეს-მონაზონის ბესარიონ ორბელიშვილისაგან, 1697 წელში. 33) წიგნი მოთხრობად წოდებული. ამაში არის ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩვენისა დავით გარესჯელისა. 34) მეტაფრასი მიცვალებისა, აღწერილი მღუდელის მახარობელ ბაკურაძისაგან. 35) წიგნი ქალწულ-მოწამეთა. 36) წიგნი კათოლიკე ეკკლესიისათვის. 37) კატილორია ანტონის მიერ არხიეპ. დავითიანისა. 38) კონდაკი დაწერილია გაბრიელ საგინაშვილისაგან. 39) ლავსაიკონი. აკლია თავი და ბოლო. 40) წიგნი კითხვა-მიგებისა. ამაში არის ცხოვრება და მოქალაქობა მაქსიმე აღმსარებელისა და კითხვა-მიგება მისივე და პიროს პატრიარქისა მწვალებელისა. 41) წიგნი, რომელსა ეწოდების: სიყვარული არს გულ-მოდგინება სულისა კეთილისა.

მღვდ. მიხ. ხელ...

(დასასრული იქნება)

დეპეშა

23 სექტემბერს

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიართან ერთად გაუგზავნა გუბერნატორებს ახალის ნიმუშის ფურცლები, რომელზედაც უნდა იწერებოდეს როგორც პირობა, ისე ანგარიში ჯამაგირისა მოჯამაგირეთა დაჭერის დროს სოფლებშიო. ამ ფურცლებს გარდა გაეგზავნათ პირობათა წიგნების ნიმუშიცა. ამ ნიმუშის ფურცლები და წიგნები შემოღებულ იქმნა 1886 წლის 12 ივნისის კანონის ძალით მოჯამაგირეთა დაქირავების თაობაზედ სასოფლო სამუშაოთათვისაო.

ვლადივოსტოკში ძალიანა სცხრება ხოლერა, რადგან ავად-მყოფნი სრულიად განცალკევებულნი არიანო. ამ უკანასკნელის ორის დღის განმავლობაში ავად არავინ არ გამხდარაო; მხოლოდ 12 კაცია ავად-მყოფი და ისინიც რჩებიანო.

„С. Петербург. Вѣд.“-ის გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულის განსაკუთრებულის კომისიის აზრით, განზრახვა აქვთ მოუმატონ ბაჟი სამზღვარ-გარეთიდამ შემოტანილს თუჯზედა 1887 წლის 1-ის იანვრიდამ მანათზე 25 კაპეიკი.

ჟურჟევო. გუშინ ლომ-პალანკაში დიდ-ძალი ხალხი შეიყარა და გარდასწყვიტა: უნდა ავასრულოთ რასაც რუსეთი თხოულობსო. ყრილობის გარდასწყვეტილება ბოლგარიის მთავრობას აუწყეს სოფიაში.

უმეტესს ნაწილს რუშჩუკის მეციხოვანე აფიცრებისას განზრახვა აქვს შუმლის მეციხოვანე აფიცრებს შეუერთდეს და ამათთან ერთად იმოქმედოს. რუშჩუკის ჯარების მოთავე, ბრიგადირი ფილოვი, რომელსაც ყველაფერში მუტკუროვის მხარე უჭირავს, სცდილობს, ამ აფიცრების შეერთებას ხელი შეუშალოს.

ვენა. „Политическая Корреспонденція“ გვარწმუნებს: ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარი ალექსანდრე სამუდამოდ თავს ანებებს პოლიტიკას და კერძო კაცის ცხოვრებას აპირებსო.

სოფია. ბოლგარიის მთავრობას უთქვამს კაულბარსისათვის: ვერ ავასრულებთ, რასაც თქვენ სთხოულობთო. არჩევანები 28 სექტემბერს დაიწყებაო.

24 სექტემბერს

ვლადივოსტოკი. კორეის სატახტო ქალაქში და მის ახლო-მახლო დღეში ოთხას კაცამდე კვდება ხოლერისაგან.

სოფია. გუშინ საღამოს გენერალი კოულბარსი ორხანიეში მოვიდა. კაულბარსს ხალხის დეპუტაცია დაუხვდა და შესძახა: «ადღეგრძელოს მეფე! დღეგრძელ იყოს ბოლგარიაო!» დეპუტაციამ გამოუცხადა გენერალს: „ბოლგარიის ერი სრულიად ენდობა სარეგენტო მთავრობასაო და ამიტომ ვთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს, არჩევანები იმ დროს დავიწყოთ, რა დროც სარეგენტო მთავრობამ დანიშნაო. გარდა ამისა, საჭიროა, ამოვირჩიოთ მთავარი და დავსაჯოთ დამნაშავე აფიცრებიო, რომელთაც არეულობაში მონაწილეობა მიიღესო. გენერალმა გამოჰკითხა დეპუტაციას: როგორი მოსავალი გაქვთ და რა ხარჯს იხდითო? შემდეგ აუხსნა დეპუტაციას, რა მიზეზის გამოც არ შეიძლება დიდის საერო კრების ჩქარა დაწყებაო. ევროპას კანდიდატად ჯერ არავინა ჰყავს სახეში და კანდიდატის ამორჩევა-კი ევროპაზეა დამოკიდებულიო.

ვენა. ხოლერა სეგედინშიაც (ვენგრიაში) გაჩნდა. ამ ბოლოს დღე-ღამეში ავად გახდა 28 კაცი და 7 გარდაიცვალა.

მადრიდი. სამხედრო არეულობის მოთავეთ, რომელნიც სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ, დანაშაული ეპატიათ.

◆

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

25 დღე ხუთშაბათი. ღირს. ქალწულ. ევფროსინესი. კათოლ. წმ. ალმს. ვლადისლავ გელნოელისა. სომეხ. წმ. მამა მთავართა ბარალამ, ანთიმე და ერანისა. დაბადება და სახელ წოდება მ. უმ. სერგეი მიხეილის-ძისა ჭეშმარიტი შუა-დღე 11—74—51. ტფილისში მზე ამოდის 6—2, ჩადის 5—33; მთვარე ამოდის 3—0, ჩადის 12—12.

26 დღე პარასკევი. მიცვალება წმ. მოციქულ-მახარობელ იოვანე ღთის-მეტყველისა. კათოლ. ამაღლება წმ. ჯვარისა. ტფილისში დაარსეს სასწავლებელი კეთილ-შობილთა ყმაწვილთათვის, 1802. ტფილისში დიდი მიწის-ძვრა იყო, 1804 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—34. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 5—31; მთვარე ამოდის 3—38, ჩადის 1—8.

27 დღე შაბათი. მოწ. კალისტრატესი. კათოლ. წმ. მოწ. კოზმისა და დამიანისა. სომეხ. წმ. გიორგი მხედართ მთავრისა, ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—17. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის 5—29; მთვარე ამოდის 4—5, ჩადის 2—3.

28 დღე კვირა. წინ.-მეტყ. ბარუქისა. ღირს. ხარიტონისა. სომეხ. ვარაგა სურბ-ხაჩისა. ნება რთვა გამოვიდა, რომ ტფილისში გამოსცენ სომხური სალიტერატურო გაზეთი „არარატი“, 1849 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47—1. ტფილისში მზე ამოდის 6—6, ჩადის 5—27; მთვარე ამოდის 4—25, ჩადის 3—0.

29 დღე ორშაბათი. ღირს. კვირიაკესი და თეოფინესი. კათოლ. წმ. მთავარანგელოსის მიხეილისა. სომეხ. დავით დვინელისა, ევლამპისა და ევლამპიასი. ტფილისში დიდი მიწის-ძვრა იყო, 1804 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—46. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 5—25; მთვარე ამოდის 5—4, ჩადის 3—53.

◆

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›

ჯვარის მამის პურის ლავაში

1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

26 სექტემბერს, საღამოს 7½ საათზე იქნები საერთო ყრილობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. საგანი განხილვისა:

1) საზოგადოების მიმდინარე საქმეები.

2) ექიმი ა. ნ. არასხანიანცი წაიკითხავს აბრეშუმის ამოხვევის თაობაზე ნუხაში და ყარაბაღში.

ყრილობაზედ შეუძლიანთ დაესწრონ გარეშე პირნიცა. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинскаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „ქართული ქრისტომატია“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—3)

ინგლისის მაღაზიამ

ახლად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები უმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და უმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—9)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—18)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე